

JEL Classification: Z38, Z39.

<https://doi.org/10.35945/gb.2022.13.021>

# THE NEGATIVE IMPACT OF PANDEMICS ON THE TOURISM SECTOR AND SOLUTION WAYS

**IA GELASHVILI****Associate Professor,**

Samtskhe-Javakheti State University, Georgia

Iagel2805@gmail.com

**Abstract.** The paper describes the situation in the tourism sector due to the pandemic crisis. The root causes for the fall in the tourism business are learnt and analyzed. The specific ways and recommendations are given for overcoming crisis and supporting positive trends in the sector.

Tourist Industry is the fast-growing sector in almost every country of the world. The safe environment, domestic stability, proper level of economic development, etc. are the pre-conditions for sector development.

Tourism itself supports creating new jobs, increasing income, diversifying economy, protecting the environment, approximating the cultures, etc.

Tourism has a growing tendency in Georgia, reflecting in significant increase of foreign visitors and accordingly, growth of the sector share in the revenues of a state budget. Though considering the situation in the world, meaning the global pandemics COVID 19, the problems were noticeable in Georgia too. The share of the tourism industry in country's GDP was 11% but due to pandemics the number of visitors was dramatically decreased, followed by the closure of the country and internal strict regulations causing paralyzing of entire tourist infrastructure. The following data demonstrates the situation better, in 2019 the income from the tourism was USD 3.5 billion, while 170 thousand people were employed in the sector. The pandemic crisis caused the loss of 30 million GEL per month. In general, tourism market lost about 75.2 million jobs throughout entire world.

The tourist agencies, guest houses, catering services and freelancer guides, etc. were mostly affected by the pandemics. Reduction of the travelers' flow by 50% left thousands of people without income. Moreover, the crisis in the tourism sector affected other fields of economy, though the most significant was decrease of currency income.

Since 2021 the positive trends are noticeable in reviving the tourism industry, for instance, according to the National Tourism Agency, in April, 2021 the number of foreign visitors was increased by 140,4 % in Georgia, while it was increased by 222,8 % in May and reached 172,333 people.

It is a fact that calculation of the losses caused by the global pandemics and recovery will take a long time for Georgian business. Currently, the most important thing is to avoid replication of the past mistakes, like introduction ungrounded, economically unjustified lockdowns. The pandemic management methods and approaches should be improved significantly and even more it has to be changed totally, the low rate of vaccination of the country has to be raised as well.

Stability of the political situation is very important, as political stability is a crucial factor for development of tourism.

Introduction of tourism supporting state policy is important, which should create strong ground for developing tour operators and other agents of tourist industry, the affords for fund raising, attracting highly qualified human resource have to be intensified and the control of efficient and targeted appliance of the investment resources has to become stricter, that will increase the quality of the touristic services.

**KEYWORDS:** TOURIST INDUSTRY, PANDEMIC CRISIS, ANTI-CRISIS PLAN, ECONOMIC COLLAPSE.

**For citation:** Gelashvili, I. (2022). The Negative Impact of Pandemics on the Tourism Sector and Solution Ways. *Globalization and Business*. 13, 138-142. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2022.13.021>

JEL Classification: Z38, Z39.

<https://doi.org/10.35945/gb.2022.13.021>

# პანდემიის ნეგატიური ზეგავლენა ტურიზმის სექტორზე და მისი გადაჭრის გზები

## ია გელაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
lagel2805@gmail.com

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმის ინდუსტრია, პანდემიური კრიზისი, ანტიკრიზისული გეგმა, ეკონომიკური კოლაფსი.

**ციტირებისთვის:** გელაშვილი, ი. (2022). პანდემიის ნეგატიური ზეგავლენა ტურიზმის სექტორზე და მისი გადაჭრის გზები. *გლობალიზაცია და ბიზნესი*. 13, 138-142. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.021>

### შესავალი

თანამედროვე პირობებში ტურიზმის ინდუსტრია არის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორი რომლის სწორ და ეფექტურ განვითარებას განაპირობებს უსაფრთხო გარემო, შიდა სტაბილურობა ეკონომიკის განვითარების მისაღები დონე და ა. შ. ტურიზმის ინდუსტრია სწორედ ერთ-ერთი ყველაზე დინამიური ინდუსტრია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც ის ერგება ტექნოლოგიურ ცვლილებებს, პროდუქტის ინოვაციებსა და ახალ ბაზრებს. ამიტომაც ტურიზმის პოლიტიკა მუდმივად ცვალებად სამყაროში მიმართული არის და იქნება მგზავრობისა და ტურიზმის ინდუსტრიისათვის მოქმედების წესზე. (TSU...,4). თავის მხრივ ტურიზმი ხელს უწყობს მშვიდობის განვითარებას სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების ზრდას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას, გარემოს დაცვას, კულტურათა დაახლოებას და სხვა. აქვე შევნიშნავთ რომ ტურიზმი კომპლექსური დარგია, რაც განპირობებულია იმით, რომ ტურისტული პროდუქტი იქმნება მრავალი დარგის რთული ურთიერთთანამშრომლობის შედეგად. ტურიზმთან დაკავშირებულ დარგებს წარმოადგენს: ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, განათლება, კავშირგაბმულობა და ა. შ.

საქართველოში, ბოლოდროინდელი სიტუაციიდან გამომდინარე, როცა საუბარია სიღარიბის მაღალ მაჩვენებლებზე, შემცირებულ ინვესტიციებზე და სამუშაო ადგილებზე, დიდ ეკონომიკურ ვარდნაზე, ანაკლიის პროექტის გაჩერებაზე, მეტად მოულოდნელ და სავალალო მდგომარეობაში ჩავვარდით, როცა იფეთქა პანდემიამ – covid-19-ის სახელით და მოიცვა მთელი მსოფლიო 2020 წლის მარტში საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ამ პერიოდისთვის ეკონომიკა 2.7%-ით შემცირდა ხოლო წლის ბოლოსთვის 6% კლება იყო, 2021 წლის იანვარში კი 11.5 % შემცირდა. (საქ. სტატის მონაცემები). 2021 წლის იანვარში გამოქვეყნებული

ანგარიშის მიხედვით, გლობალური ეკონომიკა 2020 წლის განმავლობაში 3.5 % შემცირდა. „საერთაშორისო საალუტო ფონდი“-ის საპროგნოზო მაჩვენებლით 2021 წ გლობალური ეკონომიკა 5.5 %-იან, ხოლო 2022 წ – 4.2%-იან ზრდას პროგნოზირებს. „მსოფლიო ბანკი“-ს საპროგნოზო მაჩვენებელი გლობალური ზრდის ტემპთან დაკავშირებით 2021 წლისთვის 4%-ით, 2022 წლისთვის კი 3.8 % განისაზღვრა. „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია“ (OECD) 2020 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2021 წ მსოფლიო ეკონომიკის 4.2 %-ით, 2022 წლისთვის კი 3,7 %-ით ზრდას ვარაუდობს.

### ძირითადი ტექსტი

ყველაზე დიდი დარტყმა პანდემიამ ტურიზმს მიაყენა გამოჩენის პირველივე დღიდან. არადა ტურიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად იყო ჩამოყალიბებული და მზარდი ტენდენციითაც ხასიათდებოდა. იგი საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით 11%-ს აწარმოებდა.

2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9357964-ს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 7.8 % მეტია. საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები ასეთ-ნაირადაა წარმოდგენილი.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით 2021 წლის აპრილში საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 140.4 % გაიზარდა, ხოლო მაისში 222.8 % და შეადგინა 172333 ათ. კაცი.

2021 წლის თებერვალში ინფლაციამ 6.6 % მიაღწია, რაც ყველაზე მეტად გამოწვეული იყო ბოლო წლებში ბიზნეს

**საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები**

2019 წ. მაისი	2020 წ. მაისი	2021 წ. მაისი	ცვლილება 2019/2021	ცვლილება % 2019/2021
39.753	1956	9537	-30216	-76.0%

წყარო: საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფ. ანალიტიკური დეპარტამენტი

აქტივობების შემცირებით, ექსპორტის კლების და იმპორტის გაძვირებით. 2020 წელს ეროვნული ვალუტა 14% გაუფასურდა, რისთვისაც ეროვნულმა ბანკმა ვალუტის სიმყარის შენარჩუნებისათვის 800 მლნ დოლარზე მეტი მოცულობის სავალუტო ინვესტიციები განახორციელა და 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით საქართველოს საგარეო ვალი 7.825 მლრდ დოლარს შეადგენდა. წლიური ინფლაცია 2.8 % იყო წინა წელთან შედარებით (<https://www.geostat.ge/ka>) 2021 წლის 10 ივნისის მდგომარეობით დოლარის ოფიციალური ღირებულება ლართან მიმართებაში 3.1613 ლარი გახდა ([bnr.ge](http://bnr.ge)). ლარის გაცვლითი კურსის მერყეობა კიდევ უფრო ცუდ სიტუაციაში აყენებს ბიზნესს, შეიძლება ითქვას, რომ კატასტროფულ მდგომარეობაშიც კი. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო მაინც იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, იგი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ფასების სტაბილურობაზე, რაც კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აყენებს ბიზნესს და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ([www.commersant.ge](http://www.commersant.ge)).

2020 წელს უცხოურმა ინვესტიციამ 53% ვარდნა განიცადა, ხოლო 2021 წლის პირველი კვარტლისთვის დაახლოებით 80%-იანი, რის გამოც ქვეყანაში გამწვავდა ეკონომიკური კრიზისი, გაიზარდა უმუშევრობის მაჩვენებელი, სიღარიბის დონე და ეკონომიკური უთანასწორობა სოციალურ ჯგუფებს შორის. ([www.businessfeed.ge](http://www.businessfeed.ge)) კრიზისის დროს ჩვენი საგადასხდელი ბალანსი მეტწილად დამოკიდებული იყო ტურიზმის სექტორზე და საგარეო გადმორიცხვებზე, რომელსაც თან დაერთო უარყოფითი სავაჭრო დეფიციტი. დღეს გვაქვს კრიზისების წარმოქმნის დომინოსური ეფექტი - ეკონომიკის მკვლევარ ტატო ხუნდაძის თქმით: - ტურიზმის კოლაფსმა გაზარდა უმუშევრობა, დაეცა შემოსავლები, შემცირდა მთლიანი შიდა მთხოვნა და შესაბამისად საბიუჯეტო შემოსავლები, რასაც თან ერთვის დოლარიზაციის ნეგატიური გავლენა შინა მუშაობებზე და იმ ადამიანებზე, რომელთაც სესხები დოლარში აქვთ აღებული. (მთლიანი გაცემული სესხების დაახლოებით 70%). ([www.socialjustice.org.ge](http://www.socialjustice.org.ge)). 2019 წ. ტურიზმმა 3.5 მლრდ აშშ დოლარის მოგება მოიტანა და დარგში 170 ათ. ადამიანი დაასაქმა. კორონავირუსის გამო ტურიზმა დაკარგა აქტუალობა. ყოველთვიურმა ზარალმა 30 მლნ ლარს მიაღწია. Statista.com-ის მიხედვით მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზარმა სავარაუდოდ 75,2 მლნ სამუშაო ადგილი დაკარგა. UNWTO-ს მონაცემებით დაზარალდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, რომელთა წილი ტურიზმის სექტორში 80% შეადგენს. 2020 წლის 1-ლ და მე-2 კვარტალში უმუშევრობის დონე გაიზარდა. იანვარი-ივნისის თვეში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა

40000-ით შემცირდა, რაც უმუშევრობის დონის მატებაზე 17% აისახა ([forbeswoman.ge](http://forbeswoman.ge)). საქართველოში შიდა ტურიზმის წვლილი დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო ტურისტულმა სააგენტოებმა, ტუროპერატორებმა, სოფლად სასტუმრო სახლებმა და დამოუკიდებელმა გიდებმა, მათვის შიდატურისტულმა ნაკადებმა არაფერი შეცვალა, რადგან მათი მთავარი კლიენტურა (90-95%) იყო საერთაშორისო ტურისტები. TAV Georgia-ს ინფორმაციით 2020 წლის გაზაფხულზე თბილისის აეროპორტში მგზავრთა ნაკადი 50%-ით შემცირდა და შემდგომ კი საერთოდ გაჩერდა, სპეცრეისების გარდა. ჯამში ოფიციალური ინფორმაციით 375 000-მდე ადამიანი დაკარგა სამსახური ([eecmd.org](http://eecmd.org)).

სერიოზულად დაზარალდა სასტუმრო სექტორი, რესტორნები და კაფეები, შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად გაჩერდა. შემცირდა მოთხოვნა ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებაზე, გიდების, თარჯიმნების და ტურისტების სხვა მომსახურებაზე. ტურიზმისა და ექსკურსიების მსოფლიო საბჭოს 2020 წლის მონაცემებით მსოფლიო საერთაშორისო ტურიზმის დანაკარგებმა 2 ტრილ. აშშ დოლარი შეადგინა.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში, როცა იქმნება არასასურველი და კრიზისული სიტუაციები, თავს იჩენს ხოლმე უამრავი კორუფციული რისკები, როდესაც ადგილი აქვს საკუთარი ძალაუფლების გამოყენებას პირადი სარგებლობისთვის. ამიტომ ურთულეს სიტუაციებში ხელისუფლებამ ყურადღება არ უნდა მოაღწონოს და მეტი დრო დაუთმოს კორუფციის რისკების ინდენტიფიცირებას და სავარაუდო კორუფციული შემთხვევების გამოვლენას, აგრეთვე უზრუნველყოს მაქსიმალური გამჭვირვალობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ვაქცინების, ტესტების და აღჭურვილობის შესყიდვისას. სახელმწიფომ უნდა შექმნას მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების და პირადი მოხმარების სტრატეგიული რეზერვები, კრიზისულ სიტუაციებში მათი ოპერატიული და ეფექტიანი გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანა უნდა გახდეს. (Mekvabishvili, 2020, 40). ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება, მათმა აქტიურმა ჩართულობამ უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის მონიტორინგი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ფინანსების ეფექტიან ხარჯვას და კორუფციული რისკების შემცირებას ([idfi.ge/ge/Pandemics-and-courruption-risks](http://idfi.ge/ge/Pandemics-and-courruption-risks)).

საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის პირველ კვარტალში ჯამში მოზიდულ იქნა 1.5 მლრდ. აშშ დოლარი საბიუჯეტო დახმარება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. მათ შორის:

- IMF-200 მლნ. აშშ დოლ.;
- ADB-400 მლნ. აშშ დოლ.;
- WB-250 მლნ. აშშ დოლ.;
- AFD-200 მლნ. აშშ დოლ.;
- AIIB-100 მლნ. აშშ დოლ.;
- KFD-250 მლნ. აშშ დოლ.;
- EU-200 მლნ. აშშ დოლ.

შედეგად საქართველოში გაიზარდა სახელმწიფო ვალის მთლიანი მოცულობა.

(Jgerenaia, & Ghaniashvili, 2021. 71). შემოსული თანხებიდან მცირედენი სასიკეთო ცვლილებები განხორციელდა:

- 1) ბიზნესის მხარდაჭერისთვის გამოიყო 500 მლნ ლარი;
- 2) ცვლილებები შევიდა სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ თანადაფინანსების პირობებში;
- 3) სესხი/ლიზინგი პირობები 24დან 36 თვემდე გაიზარდა;
- 4) გაიზარდა პროცენტის დაფინანსებაში სახელმწიფოს მონაწილეობა;
- 5) სახელმწიფომ დაიწყო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიკრო საგრანტო პროგრამა, რომლის მოცულობა 40მლნ ლარამდეა (bn.ge).

თუმცა ეს მცირედენი ჩამონათვალი ვერაფერი შეღავათი და საიმედო ვერ იქნება ასეთ კრიზისთან მიმართებაში. ქართველ ბიზნესმენტთა და დისტრიბუტორთა წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ქართულ ბიზნესს სერიოზული პრობლემები აქვს და საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ-ი) ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული ამ პრობლემებით. მან თავისი ბერკეტებით და ინსტრუმენტებით უნდა უზრუნველყოს არამართო ფასების რეგულირება, არამედ სავალუტო რისკებისა და კურსის დაზღვევაც. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში არ გვაქვს სერიოზული ფორმით და სახით წარმოება, რომელიც კიდევ უფრო ართულებს და აუარესებს ინფლაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ადგილობრივი რესურსების უპირატესი გამოყენების საფუძველზე ეკონომიკის რეალური სექტორის დაჩქარებული განვითარებისკენ, მძიმე სასურსათო ბაზრის დივერსიფიკაციისკენ, აგროსასურსათო პროდუქციის უარყოფითი საგრანტო საგაჭრო ბალანსის შემცირებისაკენ ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა, რაშიც იგულისხმება იმ პროდუქტების ადგილობრივი წარმოების ხვედრითი წილის გაზრდა, რომლის შესაძლებლობაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს და სამწუხაროდ ჯერ კიდევ გამოუყენებელია. (Mekvabishvili, 2020, 40). ეროვნული ბანკი თავის ფუნქციებს ჰკარგავს, რადგან ვერაფერს აკეთებს ბიზნესის განვითარებისთვის, მითუმეტეს პანდემიის პირობებში. აუცილებელია სებ-ი თავის მონეტარულ პოლიტიკას ატარებდეს ისე, რომ იგი თანხვედრაში მოდიოდეს ბიზნესი განვითარებასთან. ბოლო წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ სებ-ი პირიქით, ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას – ნათქვამია ქართული ბიზნესის წარმომადგენელთა ანგარიშში (commerzant.ge.2021.17.06). კორონავირუსის პანდემიის-

გან მიყენებული ზარალის დათვლა და მასთან გამკლავება კიდევ დიდხანს მოუწევს ქართულ ბიზნესს. მთავარია, სასიკეთო ძვრებს მიეცეს მსვლელობა, რათა შევამციროთ მნიშვნელოვანი ზარალის პროცენტული მაჩვენებელი. აუცილებელია რესურსების ეფექტიანი გამოყენება და რეფორმები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თუკი სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთად იმუშავენ, ეს შესაძლებელი იქნება. საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის გადახალისებაც. ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივ მომხმარებელთა ფოკუსირება ქართულ პროდუქტზე, რის დეფიციტსაც მოსახლეობა განიცდის. საჭიროა ადგილობრივ პროდუქტზე მოთხოვნის გზრდისადმი ნდობის აღდგენა, ამისთვის კი მიზანშეწონილია სათანადო ღონისძიებების გატარება. სახელმწიფომ უნდა შეამციროს სამთავრობო ხარჯები და შექმნას მოსახლეობის არსებობისათვის საჭირო მინიმალური პირობები (Chikviladze, 2020, 73) 2020 წლის გაფხულში დროებით გახსნილმა შიდა ტურმმა, რომელიც შემოდგომით ისევ ჩაიკეტა, ვერ მოგვცა მაინცადამაინც დიდი სასიკეთო შედეგი. თუმცა უახლოესი თვეების განმავლობაში არის ცოტადენი სასიკეთო ძვრები ტურიზმის გაჯანსაღების მიზნით:

- 1) გაფხულის საზღვაო სეზონზე სასტუმრო სექტორმა გარკვეული სარგებელი ნახა ქართველი ტურისტების საშუალებით, უფრო მეტიც, განსაკუთრებით სასრგებლო აღმოჩნდა ეს პროცესი საერთაშორისო ქსელური სასტუმროებისთვისაც, რომლებიც საზღვაო სეზონის დროს იყვნენ 100% დატვირთულნი, რიგ მომენტებში ე. წ. „ოვერბუქინგსაც“ კი ჰქონდა ადგილი. ეს განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორებით – ადგილობრივი ტურისტები ვერ გადიოდნენ დასასვენებლად უცხოეთში, სასტუმროებმა გააკეთეს მნიშვნელოვანი ფასდაკლებები და ა. შ. ამ მხრივ ძირითადად დატვირთული იყო ბრენდული სასტუმროები, აპარტ-ოტელები, ასევე თბილისის გარშემო არსებული ლოკაციები, (კახეთი და ა. შ.) საირმე და ბორჯომის სასტუმროები (eap-csf.ge./wp-content/2021/03);
- 2) საქართველო მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი გახდა (sputnik-georgia.com.03.06.2021) და 4 წლის ვადით აირჩიეს. 35 სახელმწიფოდან 23-მა საქართველოს დაუჭირა მხარი საბერძნეთის დედაქალაქ ათენში. „საქართველოს ექნება შესაძლებლობა, ჩაერთოს ორგანიზაციის მიზნების დასახვასა და შემდგომ წარმატებით განხორციელებაში, ასევე უზრუნველყოს მისი ეფექტური და გამჭვირვალე ფუნქციონირება. საქართველო თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით შეძლებს დაიცვას როგორც შავის ზღვის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის რეგიონების ინტერესები ტურიზმის განვითარების მიმართულებით.“ – აღნიშნულია განცხადებაში;
- 3) პირველი ივნისიდან გაიხსნა სახმელეთო საზღვარი და ყველას საბაჟო გამშვები პუნქტი მზადაა ტურისტების და სატრანსპორტო ნაკადის მისაღებად;
- 4) პანდემიის გამო შეჩერებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებმა მუშაობა განაახლა, რის შემდეგაც ინფორმა-

ციის მიღება შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში უფასო ცხელი ხაზის მეშვეობით (gnat.ge./ge/.2021.14.06);

5) აჭარაში ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნა 16.06.2021 წ. და მასთან ერთად დამატებითი ვაქცინაციის პუნქტი (droa.ge/?p=106200);

6) 2021 წლის 6 ივნისს გაიხსნა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ნექვის აღკვეთილში ახალი ეკოტურისტული ბილიკი. 32 კმ. სიგრძის პანორამული ბილიკიდან, რომელიც სოფ. ახალდაბას, მთა დიდ ქართას, მთა შუანოსა და სოფ. ნექვს აკავშირებს და აღჭურვილია ეკოტურისტებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთაშორისო მარკერებით, თანამედროვე კენზინგითა და ტურისტებისათვის განკუთვნილი კოტეჯით (droa.ge/?p=105920). სამომავლოდ უფრო პრიორიტეტული გახდება პატარა სასტუმროები, კერძო ტურისტული უბნები, რადგან აქ უფრო ადვილია უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების დაცვა, აგრეთვე სოციალური დისტანციისა და უცხო ადამიანებთან არასასურველი კონტაქტებისაგან თავის დაცვა. თუმცა ნებისმიერ სასტუმროში დაცული უნდა იქნას სანიტარული ნორმები, რადგან ტურისტი აუცილებლად მოითხოვს უსაფრთხოების ნორმების დაცვას, პირადი კონტაქტები უნდა შეცვალოს ონლაინ მომსახურებამ. აუცილებელია აგრო, ეკო, მთის, სათვ-გადასავლო, გამაჯანსაღებელი და სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. წინ წამოიწია ტურიზმის ეკოლოგიურმა სახეობებმა არა დახურულ სივრცეში არამედ, სუფთა ჰაერზე, ღია ცის ქვეშ (yumpa.com/nino xazaraze-turizmis-ganvitarebis-perspeqtivebi-saqartvelosi.).

მჯერა, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ ტურიზმი კვლავ აღიდგენს თავის პრიორიტეტულ მნიშვნელობას, მაგრამ ვიდრე პანდემიური პროცესი ჯერ კიდევ მძვინვარებს, აუცილებელია, ვისწავლოთ პანდემიის მართვა ისეთნაირად, რომ შევამსუბუქოთ ბიზნესსაქმიანობა და ვეძებოთ იოლი გზები პანდემიისგან თავის დასაღწევად. პირველ რიგში, აუცილებლობად მიმაჩნია ვაქცინაციის პროცესის დაჩქარება, რომელიც არის ერთადერთი გზა მის შესაჩერებლად. ამისათვის სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისკენ, სახელმწიფო პოლიტიკა უნდა გადაიხედოს და მოხდეს მისი გადახალისება იმ კუთხით, რაც ხელს შეუწყობს განვითარების სწრაფ ტემპებს და სადაც გათვალისწინებული იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური, ორგანიზაციული და სოციალური ასპექტები. მთავრობის მიერ საგანგებოდ მიღებული ანტიკრიზისული გეგმა საჭიროებს გადახედვას და უკეთესი ქმედითი ღონისძიებების გატარებას, რაც დააჩქარებს სასიკეთო პროცესების მიმდინარეობას და ხელს შეუწყობს ქვეყანას, უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ დააღწიოს თავი შექმნილ რთულ სიტუაციას. ქვეყნის ეკონომიკა, ნებისმიერი დარგი და მიმართულება აუცილებლად უნდა დაადგეს აღმშენებლობის გზას, სხვანაირად თითოეული ადამიანის ყოფითი პრობლემები ვერ იქნება სათანადოდ დაძლეული.

**გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:**

Chikviladze, M. (2020), Challenges of New Coronavirus (COVID-19), *Economic Problems. Globalization and Business*. 2020, 10, 73. (In Georgian).

Edgell Strand, D. L., & Jason, T. (2008). *Tourism Policy and Planning. Yesterday, Today and Tomorrow*. Swanson, 2008.

Georgian National Statistics Office.  
<https://gnta/wp-content/uploads/2015/01.pdf>  
<https://ka.wikipedia.org/wiki/Tourism>  
<https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/vako.pdf>  
<https://www.droa.ge/?p=105920>  
<https://www.droa.ge/?p=106200>  
<https://www.eap-csf.ge/wp-content/2021/03>  
<https://www.eecmd.org>  
<https://www.forbeswoman.ge>  
<https://www.gnat.ge/ge/.2021.14.06>  
<https://www.idfi.ge/ge/Pandemics-and-courruption-risks>  
<https://www.sputnik-georgia.com.03.06.2021>  
<https://www.yumpa.com/nino xazaraze-turizmis-ganvitarebis-perspeqtivebi-saqartvelosi>.

Information Analytical Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia.

Jgerenaia, E., & Ghaniashvili, M. (2021). A New Understanding of Economic Cycles in Economic Conditions. *Globalization and Business*. 11, 2021, 71. (In Georgian).

Mekvabishvili, E. (2020). The Anti-Crisis Role of the State (Based on the Experience of the Global Financial Crisis and the Coronomics Crisis). *Globalization and Business*. 10. 40. (In Georgian).

[www.commersant.ge](http://www.commersant.ge)  
[www.socialjustice.org.ge](http://www.socialjustice.org.ge)